როცა აქტეონი, ძეჲ არისტეას

როცა აქტეონი, ძე□ არისტეას,
ლაღად მიდიოდა ტყეში სანადიროდ,
უცებ დაინახა თეთრი აფროდიტა,
თავის ნიმფთა შორის იგი ბანაობდა
ძველი პართენონის მსუბუქ ნაკადებში.
შედგა აქტეონი. თვალნი დაებინდნენ.
იგი მოჯადოვდა უცხო სანახავით.
მაგრამ ის დასაჯა – იმავ ღვთაებამა:
იქცა აქტეონი ირმად მშვენიერად.
ძაღლებს აქტეონი მსხვერპლად შეეწირა,
იგი დაეფლითათ – ძაღლებს იმისსავეს.
ვიცან, გალაკტიონ, შენში აქტეონი.
შენ გსჯის ყოველივე, როგორც სიყვარული.
შენგნით დაწვრთნილები, ყეფენ მოუსვენრად
ისევ შენთვისავე – ავი ძაღლებია.
1916